

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 26 აპრილს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №5-3(სამი) ფურცელი  
დასკვნა №5- 1(ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ა.ს.არიშვილი

კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

## საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №5

ქ.ლანჩხუთი

26.04.2016.

**სხდომას ესწრებოდნენ:** საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, კომისიის წევრები: აკაკი იმნაიშვილი, გიორგი გოგუაძე, დავით ჩხარტიშვილი, გიორგი ჩახვამე, ომარ გოგიჩაიშვილი, თეიმურაზ ალექსაია და ალექსანდრე მახათაძე.

**მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის აუდიტის სამსახურის უფროსი გია ნაჭყეია, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტი პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მია კუპატაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე სარიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ანგარიშის აუდიტორული დასკვნის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ა. სარიშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე სარიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

### მომხრე-8, წინააღმდეგი-არცერთი.

**დღის წესრიგის პირველი საკითხი** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ანგარიშის აუდიტორული დასკვნა სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე სარიშვილმა. მან აღნიშნა, რომ 2015 წელს სამსახურის მიერ შემოწმებული იქნა მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული ოთხი ა(ა)იპ-ი: „კულტურულ დაწესებულებათა გაერთიანების მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“, „კულტურულ დაწესებულებათა გაერთიანების სამხატვრო სკოლა“, „სპორტული ცენტრი“ და საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“.

შემოწმების შედეგად არცერთ ორგანიზაციაში, გარდა ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“ ფინანსურ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულ კლუბში დანაშაული იქნა ჩადენილი კლუბის ფინანსისტ ა. დობორჯგინიძის მიერ, რომელმაც 27.02.2015 წელს 2000 ლარი გადარიცხა დაუდგენელი პიროვნების ანგარიშზე, მასვე მარტის თვეში საკუთარ ანგარიშზე მივლინებისთვის და საქვეანგარიშოდ 2261 ლარი აქვს ჩარიცხული, რაზედაც არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, ანალოგიურად ჩარიცხული აქვს მის პირად ანგარიშზე თანამშრომლების ხელფასი 2710 ლარი. მან ასევე აღნიშნა, რომ კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მოკლვლული მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაცემული აქვს გურიის რეგიონალურ პროკურატურას. კლუბიდან მიღებული ინფორმაციით დობორჯგინიძის მიერ აღნიშნული თანხები შემოტანილი იქნა კლუბის ანგარიშზე. შიდა აუდიტის სამსახურმა მუნიციპალიტეტის გამგებლის დავალების

შესაბამისად 2015 წელს შიდა აუდიტის მიერ ჩატარებული შემოწმების აქტების ელექტრონული ვერსია მიეწოდა ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის აუდიტორული შემოწმების ჩამტარებელ შ.პ.ს. „financial experts corporation“-ს, რომელმაც იხელმძღვანელა აღნიშნული აქტებით და მოიყვანა მის მიერ შედგენილ აქტში, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ფინანსურ დარღვევებს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა არ ღებულობს შესაბამის ზომებს, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები. რადგან ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ შემთხვევაში გატარებულია მკაცრი ზომები.

კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე სარიშვილმა მოითხოვა განმარტება პირობით აუდიტორულ დასკვნასთან დაკავშირებით, რაზეც გააჩვენა ნაჭყეპიამ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, სიტყვა „პირობითი“ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრას ექვემდებარება. მან ასევე გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ მოწვეული კერძო აუდიტორის მიერ არ მომხდარა არცერთი ა(ა)იპ-ის შემოწმება და მან იხელმძღვანელა მხოლოდ ადგილობრივი აუდიტის სამსახურის მიერ მიწოდებული მასალებით.

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა დასვა შეკითხვა თუ რა თანხებზე იყო ლაპარაკი, რაზეც ალექსანდრე სარიშვილმა გააკეთა განმარტება, რომ ლაპარაკია 7000 ლარზე, რომელიც დობორჯგინიძის მიერ არამიზნობრივად იქნა გახარჯული და პროკურატურის ჩარევის შემდეგ უკან იქნა დაბრუნებული. დეპუტატმა იმნაიშვილმა ასევე დაუსვა შეკითხვა გააჩვენა ნაჭყეპიას, როგორც პროფესიონალს აღნიშნულ სფეროში, თუ რა შეფასებას მისცემდა მოწვეული აუდიტის მიერ დადებულ დასკვნას, რაზეც გააჩვენა ნაჭყეპიამ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ ვინაიდან წარმოდგენილ დასკვნაში არ ფიქსირდება სერიოზული დარღვევები, რომლებიც გამოსწორებას არ ექვემდებარება, ამიტომ იგი დადებითად აფასებს კერძო აუდიტის მიერ დადებულ დასკვნას.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიაში“ გამოვლენილ სერიოზულ ხარვეზებთან დაკავშირებით შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულია რეკომენდაციები, რომლებიც დღემდე არ არის გათვალისწინებული.

დეპუტატმა ომარ გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, რომ მოწვეული აუდიტორის მიერ დადებულ დასკვნაში საუბარია რამდენიმე ა(ა)იპ-ზე, სადაც აღმოჩენილია ფინანსური დარღვევები. გააჩვენა ნაჭყეპიამ აღნიშნა, რომ მოწვეულმა აუდიტორმა მოითხოვა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად შედგენილი მასალების ელექტრონული ვერსია, რაც მაშინვე იქნა მიწოდებული. გარდა ამისა მათ შორის არ შემდგარა არანაირი სხვა შეხვედრა, რომ მომხდარიყო გასაუბრება იმასთან დაკავშირებით თუ რა ღონისძიებების გატარება მოხდა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კონკრეტულ დარღვევებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა ტენდენციურობას.

დეპუტატმა თეიმურაზ ალექსაიამ მკაფიოდ დააფიქსირა თავისი მოსაზრება და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დასკვნა არის შეკვეთილი ნაციონალური მოძრაობის მიერ.

წარმოდგენილ აუდიტორულ დასკვნასთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

**დღის წესრიგის მეორე საკითხი** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ანგარიშის აუდიტორული დასკვნა ცნობად იქნა მიღებული.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე:

ა.სარიშვილი

ალექსანდრე სარიშვილი

ქ. ლანჩხუთი \*

26.04.2016 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №5

2016 წლის 26 აპრილს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ანგარიშის აუდიტორული დასკვნის მოსმენის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ანგარიშის აუდიტორული დასკვნა ცნობად იქნა მიღებული.

საფინანსო-საბიუჯეტო









კომისიის თავმჯდომარე :

ა.სა

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის  
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 აპრილი 2016 წელი  
12:00 საათი

|   | სახელი, გვარი        | გამოცხადების დრო | ხელმოწერა   |
|---|----------------------|------------------|---|
| 1 | ალექსანდრე სარიშვილი | 12 <sup>00</sup> |    |
| 2 | კახაბერ გუჯაბიძე     |                  |   |
| 3 | თეიმურაზ ალექსაია    | 12 <sup>00</sup> |     |
| 4 | დავით ჩხარტიშვილი    | 12 <sup>00</sup> |    |
| 5 | ალექსანდრე მახათაძე  | 12 <sup>00</sup> |   |
| 6 | გიორგი გოგუაძე       | 11 <sup>50</sup> |   |
| 7 | გიორგი ჩახვაძე       | 12 <sup>50</sup> |   |
| 8 | ომარ გოგიჩაიშვილი    | 12 <sup>00</sup> |   |
| 9 | აკაკი იმნაიშვილი     | 12 <sup>00</sup> |  |

